საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა

2024 წელი

16.10.2025
www.geostat.ge

16.10.2025

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა

2024 წელი

2024 წელს შესწორებულმა გენდერულმა საათობრივმა სახელფასო სხვაობამ 11.4 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ყოველთვიური სახელფასო სხვაობის შემთხვევაში 19.3 პროცენტია. გასულ წელთან შედარებით გენდერული საათობრივი სახელფასო სხვაობა 1.8 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო ყოველთვიური სახელფასო სხვაობა - 1.6 პროცენტული პუნქტით.

2024 წელს მრეწველობის სფეროში შესწორებულმა გენდერულმა საათობრივმა სახელფასო სხვაობამ 13.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო მომსახურების სფეროში - 11.0 პროცენტი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შესწორებული საათობრივი და ყოველთვიური გენდერული სახელფასო სხვაობა საქმიანობის სახეების მიხედვით.

დიაგრამა №1

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, 2024

(%)



შენიშვნა:

მაჩვენებლები მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში არ არის რეპრეზენტატული არასაკმარისი შერჩევის ზომის გამო.

დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, შესწორებული საათობრივი გენდერული სახელფასო სხვაობა ყველაზე მაღალი ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტების სფეროების პოზიციაზე დაფიქსირდა და 26.0 პროცენტი შეადგინა, მეორე ადგილზეა სპეციალისტი-პროფესიონალების პოზიცია (23.7%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შესწორებული საათობრივი და ყოველთვიური გენდერული სახელფასო სხვაობა დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით.

დიაგრამა №2

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, 2024

(%)



16.10.2025

საინფორმაციო ფურცელი

გენდერული სახელფასო სხვაობა წარმოადგენს კაცისა და ქალის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის თანაფარდობას კაცის საშუალო ხელფასთან. გენდერული სახელფასო სხვაობა, რომელიც არ ითვალისწინებს დემოგრაფიულ და სამუშაო მახასიათებლებს, ცნობილია, როგორც შეუსწორებელი გენდერული სახელფასო სხვაობა. დემოგრაფიული მახასიათებლების (ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილმდებარეობა - რეგიონი/დასახლების ტიპი და ა.შ.) და სამუშაო მახასიათებლების (ეკონომიკური საქმიანობის სფერო, დაკავებული პოზიცია და. ა.შ.) გათვალისწინების შემთხვევაშიც კაცისა და ქალის ხელფასებს შორის არსებობს სხვაობა. აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელს. სახელფასო სხვაობის გამომწვევი სოციალური ფაქტორები საკმაოდ კომპლექსურია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუნდამენტური კონვენცია „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“ ქვეყნებს ავალდებულებს უზრუნველყონ თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურება დისკრიმინაციის გარეშე.

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის მაჩვენებელი გაანგარიშებულია სამუშაო ძალის გამოკვლევის საფუძველზე, 15-64 წლის დაქირავებული მოსახლეობისთვის, რეგრესიული მოდელის გამოყენებით.

შენიშვნები:

რელიზში გამოყენებულია დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია - ISCO-08 და ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge